



# საქართველო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72  
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 3  
05/12/2017

3-06-4-201712051503



დადგენილება №3

2017 წელი 4 დეკემბერი

## ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ.ბ“ და „დ.ე.“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20, 23-ე და 25-ე მუხლების შესაბამისად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

**მუხლი 1.** განისაზღვროს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობები და დამტკიცდეს მერიის საშტატო ნუსხა თანდართული დანართის შესაბამისად.

**მუხლი 2.** ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და გამგეობის მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 იანვრის №3 დადგენილება ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge) , 08/01/2015, სარეგისტრაციო კოდი 190040000.35.113.016210).

2. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 აგვისტოს №20 დადგენილება ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge) , 25/08/2017, სარეგისტრაციო კოდი 010250000.35.171.016151).

3. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისა და საკრებულოს

თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ" -  
ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ნოემბრის N37  
დადგენილება (www.matsne.gov.ge, 20/11/2014, სარეგისტრაციო კოდი  
010250000.35.171.016037

**მუხლი 3.** დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება  
გავრცელდეს

2017 წლის 1 დეკემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე  
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

